იმერეთის ფაქტობრივი მეფის გიორგი-მალაქია აბაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა

კახი კურატაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევებში ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეიმურაზ ჯოჯუა, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

კახი კურატაშვილი

18.01.2026.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი „იმერეთის ფაქტობრივი მეფის გიორგი-მალაქია აბაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ ეხება XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის დასწყისის იმერეთის სამეფოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფეოდალის — გიორგი-მალაქია აბაშიძის — პირადი და საზოგადოებრივი საქმიანობის კომპლექსურ ანალიზს. კვლევა მიზნად ისახავს მისი ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის იმ ასპექტების გამოვლენასა და ახლებურად გააზრებას, რომლებიც აქამდე ბუნდოვანი ან არასაკმარისად შესწავლილი იყო. განსაკუთრებით განიხილება მისი პირადი ცხოვრების დეტალები წარმოშობა, ქორწინებები, შვილიანობა, ბერად შედგომის გარემოებები, დაბადების თარიღის დაზუსტება) და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა მათ შორის: პოლიტიკური საქმიანობა, ძალაუფლებისათვის ბრძოლა, მიღწეული გარიგებები, სამოქმედო ტაქტიკები და მისი კარიერის განვითარების ეტაპები.

კვლევა ეფუძნება მრავალეფროვან წყაროებს: ნარატიულ ტექსტებს, სამართლებრივ-ადმინისტრაციულ დოკუმენტებს, ანდერძ-მინაწერებს, ეპიგრაფიკული მასალის ასლებსა და შესაბამის ისტორიოგრაფიულ ლიტერატურას. ამ მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა გიორგი-მალაქია აბაშიძის მოღვაწეობა ფართო ისტორიულ კონტექსტში განთავსდეს და დასავლეთ საქრთველოს ფეოდალურ ურთიერთობათა დინამიკა ახლი პერსპექტივით გაანალიზდეს.

ნაშრომი მნიშვნელოვნად ავსებს XVII-XVIII საუკუნეების იმერეთის სამეფოს ისტორიის ნაკლებად შესწავლილ მხარეს, აქტუალურს ხდის ჩრდილში მოქცეულ ისტორიულ ფიგურას და წარმოადგენს გიორგი აბაშიძის შესახებ დეტალურ, მრავალმხრივ და ვრცელ ნაშრომს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე დაგროვებულ ცოდნას.

Abstract

The master's thesis *"The Life and Activity of Giorgi-Malakia Abashidze, the De Facto King of Imereti"* offers a comprehensive analysis of the personal and public life of one of the most influential feudal lords of the Kingdom of Imereti in the late seventeenth and early eighteenth centuries. The research aims to identify and reinterpret those aspects of Abashidze's biography and political career that have so far remained obscure or insufficiently studied. Special attention is given to details of his personal life (origin, marriages, offspring, circumstances of his monastic tonsure, and clarification of his birth date) as well as his socio-political activity, including his political engagements, struggle for power, negotiated agreements, strategic approaches, and the major stages of his career.

The study is based on a wide range of sources, including narrative texts, legal and administrative documents, wills and notes at the end of manuscripts, copies of epigraphic material, and relevant historiographical literature. The analysis of these materials enables the placement of Giorgi-Malakia Abashidze's career within a broader historical context and offers a new perspective on the dynamics of feudal relations in western Georgia.

The thesis significantly contributes to the understudied aspects of the history of the Kingdom of Imereti in the seventeenth and eighteenth centuries, brings renewed attention to a prominent yet overshadowed historical figure, and represents one of the most detailed and comprehensive studies on Giorgi Abashidze, thereby enriching the existing body of Georgian historiography.

მადლობა

მაგისტრატურაში სწავლა და სამაგისტრო თემის მომზადება აკადემიური განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია, ამ პროცესში მხარდაჭერა კი ღირებულია დადებითი შედეგის მისაღწევად. მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც საკუთარი წვლილი შეიტანა ჩემს აკადემიურ განვითარებაში.

მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, თემო ჯოჯუას, რომელიც უწყვეტ დახმარებას მიწევდა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში საკვლევ თემასთან დაკავშრებულ საკითხებზე, სათანადო ლიტერატურის მოპოვებასა თუ ტექნიკურ მხარეებზე. იგი დაუზარებლად მიზიარებდა ცოდნას, შენიშვნებსა და რჩევებს ნაშრომის დახვეწისათვის. მადლობა ასევე იმისათვის, რომ მისი ხელმძღვანელობით შევძელი სამაგისტრო ნაშრომის პირველი შედეგების წარდგენა უნივერსიტეტის მაგისტრანტთა კონფერენციაზე.

ცხადია მადლობელი ვარ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა, რომელთაც წვლილი შეიტანეს ჩემი ცოდნის დაგროვებასა და აკადემიური უნარების განვითარებაში.

მადლიერებას გამოვხატავ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „შუა საუკუნეების კვლევების“ ავტორების მიმართ, რომელთაც შესაძლებლობა მომცეს კიდევ უფრო მეტად დავახლოებოდი ჩემი აკადემიური ინტერესების სფეროს.

ბოლოს, მადლობას ვუხდი ჩემი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს, რომელთა მუდმივი მხარდაჭერა და თანადგომა მეტ სიმხნევეს მმატებდა სამაგისტრო თემაზე მუშაობის პროცესში.